

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ნიკო მუსხელიშვილის სახელობის
გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტის სამეცნიერო თანამდებობის დაკავების
დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები

მთავარი მეცნიერი თანამშრომელი

მთავარი მეცნიერი თანამშრომელი უნდა ერკვეოდეს:

- ✓ სამეცნიერო კვლევების განვითარების ძირითად პრობლემებში და მიმართულებებში;
- ✓ ადგილობრივ და უცხოურ მიღწევებში მეცნიერებათა შესაბამის დარგებში;
- ✓ თანამედროვე სამეცნიერო კვლევების უზრუნველყოფის და ორგანიზების მეთოდოლოგიებში.

მთავარ მეცნიერი თანამშრომელს უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში:

- ✓ გამოქვეყნებული უნდა ჰქონდეს არანაკლებ 5 სამეცნიერო ნაშრომისა (მონოგრაფია ან/და სტატია სამეცნიერო ჟურნალში), რომელთაგან 3 მაინც –მაღალრეიტინგულ, საერთაშორისო მასშტაბით რეცენზირებად და რეფერირებად (მაგ., Elsevier scopus, Web of Science და სხვა ბაზებშიგანთავსებულ) გამოცემებში;
- ✓ არანაკლებ 5 მოხსენებით უნდა იყოს გამოსული ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში.

უფროსი მეცნიერი თანამშრომელი

უფროსი მეცნიერი თანამშრომელი უნდა ფლობდეს ინფორმაციას:

- ✓ საქართველოსა და უცხოეთში მის თემატიკაში მიმდინარე სამეცნიერო კვლევა-ძიებების შესახებ;
- ✓ კვლევა-ძიებების ორგანიზების თანამედროვე მეთოდებსა და საშუალებებზე.

უფროს მეცნიერი თანამშრომელს უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში:

- ✓ გამოქვეყნებული უნდა ჰქონდეს არანაკლებ 3 სამეცნიერო ნაშრომისა (მონოგრაფია ან/და სტატია სამეცნიერო ჟურნალში), რომელთაგან 1 მაინც –მაღალრეიტინგულ, საერთაშორისო მასშტაბით რეცენზირებად და რეფერირებად (მაგ., Elsevier scopus, Web of Science და სხვა ბაზებშიგანთავსებულ) გამოცემებში;
- ✓ არანაკლებ 3 მოხსენებით უნდა იყოს გამოსული ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში.

მეცნიერი თანამშრომელი

მეცნიერი თანამშრომელი უნდა ერკვეოდეს:

- ✓ მისი მონაწილეობით მიმდინარე კვლევა-ძიებების მიზნებსა და ამოცანებში;

- ✓ საქართველოში და უცხოეთში ანალოგიური შინაარსის სამეცნიერო კვლევებში;
- ✓ მიღებული ინფორმაციის დამუშავების, განზოგადებისა და კვლევების ორგანიზების თანამედროვე მეთოდებში.

თუ პირს ადრე ეკავა სამეცნიერო თანამდებობა და ამჟამად კენჭს იყრის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომლის ვაკანტურ თანამდებობაზე, მაშინ მას გამოქვეყნებული უნდა ჰქონდეს არანაკლებ 3 სამეცნიერო ნაშრომისა.